საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, სასაწყობო დანიშნულების შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, კაიროს ქ. №42, (ს/კ 01.11.05.029.269).
პროექტი შემსრულებელი – საპროექტო ორგანიზაცია **„არქიკოლეგიუმი“.**
პროექტის მთავარი არქიტექტორი – თ. მურვანიძე.
პროექტის ავტორი – რ. ებრალიძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა

განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიზანს წარმოადგენს სასაწყობო შენობის რეკონსტრუქცია, თანამედროვე სტანდარტებისა და შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. შენობაში დასაწყობდება **წიგნები**, შესაბამისად, იგი მიკუთვნებულია **სასაწყობო ჯგუფ სწ-1-**ს.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კაიროს ქ. №42-ში. საკადასტრო მონაცემებით ტერიტორიის ფართობი შეადგენს 5641 კვ.მ-ს. ტერიტორიაზე განსთავსებულია რამდენიმე შენობა. ახალი შენობისთვის გამოყოფილი არეალი მდებარეობს ნაკვეთის შუაში. ტერიტორიას გარშემო ესაზღვრება კერძო საკუთრების საკადასტრო ერთეულები, ხოლო დასავლეთით – კაიროს ქუჩა.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს ერთსართულიან სასაწყობო ნაგებობას, რომელიც აერთიანებს არსებულ ორ ნაგებობას. შენობაში მოხვედრა ხდება პირდაპირ ეზოდან. შენობა განეკუთვნება IV კლასს.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემების აღწერა:

არსებული შენობებიდან ჩრდილოეთით მდებარე შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციითაა აგებული, ხოლო სამხრეთით მდებარე შენობა რკინის კონსტრუქციისაა.

შენობის დაგეგმარებისას გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

სასაწყობო შენობისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 5641 კვ.მ

განაშენიანების ფართობი – 3828.9 კვ.მ

საერთო ფართობი – 3671.4 კვ.მ

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე – 12.5 მ

მათ შორის: 0.00 ნიშნულს ქვევით – 0.5 მ

0.00 ნიშნულს ზევით – 12.0 მ

შენობა-ნაგებობის სამშენებლო მოცულობა – 5330 კუბ.მ

მათ შორის: 0.00 ნიშნულს ქვევით – 630 კუბ.მ

0.00 ნიშნულს ზევით – 4700 კუბ.მ

კ-1 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

კ-2 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

კ-3 კოეფიციენტი – არ არის განსაზღვრული

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია სასაწყობო შენობა ერთი მიწისპირა სართულით. პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები, რომელიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **311 ქვეთავს.** დაკავებულობის დატვირთვა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

მიწისპირა სართულის (**0.00** ნიშნ.), ძირითადი ნაწილი დათმობილი აქვს საწყობებს, რომელშიც ინახება წიგნები და მცირე ნაწილი დამხმარე სათავსებს, სადაც განთავსებულია სახანძრო ცილინდრების სადგური.. მათ შორის:

<u>საწყობები</u>, **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველ **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით (947.8+1719.9+14.8+944.8+7.5)=**3634.8 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=81.**

<u>დამხმარე სათავსები</u>, **312.1 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება საშუალო საფრთხის შემცველ **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **25.5 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით და შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე შენობისთვის განსაზღვრულია კონსტრუქციის **I- B** ტიპი.

პროექტის მიხედვით ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილ მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს 1 საათს და შეესაბამება **601 ცხრილში II- B** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **1**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმალურ ხანძარსაწინააღმდეგო **1**-საათიან ხარისხს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I- B** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია სართული–**11**, სიმაღლე–**48.8 მ** და ფართობი–**4460 მ²**, ხოლო წარმოდგენილია სართული–**1**, სიმაღლე–**11.60 მ** და ფართობი–**3634.8 მ²**.

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია სართული – **5**, სიმაღლე–**48.8 მ** და ფართობი–**3300 მ²**, ხოლო წარმოდგენილია სართული–**1**, სიმაღლე–**11.60 მ** და ფართობი–**25.5 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ერთსართულიანია, მიწის ზემოთ სიმაღლით – **11.60 მ**, განაშენიანების ფართობით – **3828.9 მ²** და საერთო ფართობით – **3671.4 მ²**.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი

განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.
საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ერთსართულიანია.

საპროექტო სასაწყობო შენობას მიწისპირა სართულიდან (**0.00** ნიშნ.) აქვს სამი გასასვლელის გზა-კარი: **„1 – 19“**, **„ა – დ“** და **„5 – 1“** ფასადების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწის დონესთან მისადგომს **0.00** ნიშნულზე. გასასვლელის გზა-კარების გამმიჯნავი მანძილები **73.4** და **82.9** მეტრია, რაც შენობის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის (**113.1** მეტრის) ნახევარზე მეტია, **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნის შესაბამისად.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი ავტომატური საშხეფი სისტემის გარეშე განსაზღვრულია შემდეგნაირად:
სასაწყობო (**სწ-1**) ჯგუფის დაკავებულობისთვის დაშვებულია **75** მეტრი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია – **72** მეტრი, რაც შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

შენობიდან გამოსასვლელები მდებარეობს მიწის დონეზე (**0.00** ნიშნ.) და გადის პირდაპირ შენობის გარეთ, იმავე ნიშნულზე.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო შენობა ერთსართულიანია, რომელიც წარმოდგენილია სამი გასასვლელის გზა-კარით.

გასასვლელი საშუალებების სისტემაში შემავალი გასავლელები, რომლებიც გასასვლელთან მისადგომის ნაწილია, მოწყობილია **1017 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ამ ქვეთავის მოთხოვნებს. გასავლელის მინიმალური თავისუფალი სიგანე (**90** სმ) განსაზღვრულია **1017.5 ქვეთავის** და დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, საპროექტო

შენობაში გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე მეტი, **1.7** მეტრიდან **5.0** მეტრამდე სიგანის გასავლელები, რაც მეტია და შეესაბამება მოთხოვნილს.

<u>შენობიდან გასასვლელის გზა-კარები</u> მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით. გასასვლელის გზა-კარის მინიმალური სიგანე (**82** სმ) განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავით** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1** მმ). პროექტის მიხედვით, შენობიდან გასასვლელის გზა-კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე შეადგენს **0.92** და **2.85** მეტრს, რაც მეტია და შეესაბამება მოთხოვნილს.

შენობიდან გასასვლელის გზა-კარები, ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით.

6) მისაწვდომობის შეფასება.

წესების **მე-11 თავის**, **1104.1 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით მისაწვდომი ავტოსადგომიდან, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.

შენობიდან გამოსასვლელები მდებარეობს მიწის დონეზე (**0.00** ნიშნ.) და გადის პირდაპირ შენობის გარეთ, იმავე ნიშნულზე, შესაბამისად, მისაწვდომია და შესაძლებელია (შშმ) პირების სამუშაო ფართობთან მისვლა, შესვლა და გამოსვლა, რაც აკმაყოფილებს **1103.2.3 ქვეთავის** მოთხოვნას.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით) განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის შესაბამისად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, <u>დაუცველი საშხეფის გარეშე</u>, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

„ე – ა“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.76** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **5 %**.

„1 – 19“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0.08** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

„ა – ე“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **0.20** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

„19 – 1“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **1.45** მეტრია, ღიობები **დაუშვებელია**, ხოლო წარმოდგენილია **0 %**.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობა ერთსართულიანია და აქვს ქანობიანი გადახურვა. **1505.1 ცხრილის** მიხედვით („სახურავის მინიმალური ბურულების კლასიფიკაცია კონსტრუქციის ტიპებისთვის“), კონსტრუქციის **I- B** ტიპისთვის განსაზღვრულია **B** კლასის სახურავის ანაწყობი, რომელიც **1505.3 ქვეთავის** თანახმად, ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

საპროექტო შენობის გადახურვის კონსტრუქცია ლითონის ფერმაა. სახურავის ბურულად გამოყენებულია ლითონის კონსტრუქციაზე მოწყობილი ქვაბამბის სენდვიჩ-პანელი, რაც სრულიად შეესაბამება მოთხოვნებს. სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების დასახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია მხოლოდ **სასაწყობო (სწ-1)** დაკავებულობა, რომელთა გამიჯვნა აუცილებელი არ არის, **508.4 ცხრილის** მიხედვით. მაგრამ ერთმანეთისგან გამიჯნულია, **1**-საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.3.1.1.1 ქვეთავის („**გამონაკლისი ადგილები**“) მოთხოვნის მიხედვით, ავტოსაშხეფები საჭირო არ არის ოთახებში ან ფართობებზე, რომლებიც დაცულია **907.2 ქვეთავის** შესაბამისად დაყენებული ცეცხლის აღმომჩენი ავტომატური სისტემით, რომელიც რეაგირებს წვის შედეგად წარმოქმნილ ხილულ და უხილავ ნაწილაკებზე. ასევე, ნებისმიერ ოთახსა ან სივრცეში, სადაც წყლის გამოყენება სასურველი არ არის მათი შემცველობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, **907.2.15 ქვეთავის** მოთხოვნით, თაროებზე დაწყობილი მასალების შესანახად განკუთვნილ ზონებში უნდა დააყენონ ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა და **904.8 ქვეთავის** შესაბამისად დაყენებული ნახშიროროჟანგის შემცველი ცეცხლსაქრობი სისტემები. ზემოთაღნიშნული **ქვეთავების** მოთხოვნების გათვალისწინებით, საპროექტო შენობა, რომელშიც წიგნებია განთავსებული, აღჭურვილია: **ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემით და ხანძრის აირით ავტომატური ქრობის სისტემისთვის საჭირო მოწყობილობებით**, კერძოდ: ასპირაციული სახანძრო დეტექტორებით, რომელიც შექმნილია, სპეციალურად ხანძრის ადრეულ ეტაპზე აღმოსაჩენად ისეთ ადგილებში, როგორიცაა: ე.წ. ფალშ იატაკი, შეკიდული ჭერი, სავენტილაციო და საკომუნიკაციო შახტები, სასერვერო ოთახები და ა.შ.; კვამლის სამისამართო დეტექტორებით, რომლებიც ხანძარს აფიქსირებენ, რასაც უნდა მოჰყვეს ავტომატური ხანძარქრობის აგენტის გაფრქვევა; ხელის სახანძრო-საგანგაშო ღილაკებით, რომელიც უზრუნველყოფს ხანძარქრობის აგენტის ხელით გაშვებას, სისტემის ბლოკირებას და ბლოკირების გაუქმებას;
ქრობის აგენტის ცილინდრები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე სახანძრო ცილინდრების სადგურის ოთახში;
ხანძრის აირით ავტომატური ქრობის სისტემა უზრუნველყოფს ხანძრის კერების ავტომატურ ქრობას, ხანძარქრობის აგენტად გამოყენებული ნივთიერებით, რომელიც არ აზიანებს აპარატურას და არ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას. ობიექტი, ასევე, აღჭურვილია ოპტიკურ აკუსტიკური მაუწყებლით ე.წ. სახანძრო სირენა სტრობებით და საინფორმაციო ტაბლოებით, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის ინფორმირებას ობიექტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

904.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით, ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები, რომლებიც მოწყობილია **903-ე ქვეთავში** განსაზღვრული

ავტოსაშხეფი სისტემების ალტერნატივად, შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

905 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა სახანძრო მილდგარების სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

906.1 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.

907 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა მთლიანად აღჭურვილია საავარიო განგაშის სისტემებით.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემით.

СП 7.13130.2013 პუნქტი 7.2 „в“-ის მიხედვით, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა.

СП 52.13330.2016 პუნქტი 7.6.3 და **7.6.9**-ის მიხედვით, საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების სახანძრო ცილინდრების სადგურის სათავსო განთავსებულია პირველი სართულის 0.00 ნიშნულზე.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სასაწყობო(სწ-1)** ჯგუფის

დაკავებულობისთვის და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის:

- ერთი უნიტაზი და ერთი ხელსაბანი;
- ერთი სამომსახურეო ნიჟარა;
- ერთი წყლის დასალევი შადრევანი.

წარმოდგენილ პროექტში სრულადაა გათვალისწინებული **1602.1 ცხრილის** მოთხოვნები.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, კაიროს ქ. №42, (ს/კ 01.11.05.029.269) განთავსებული ერთსართულიანი სასაწყობო დანიშნულების შენობის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი — არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



Georgia IDENTITY CARD
პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO

სახელი / FIRST NAME
ქართლოს
KARTLOS

გვარი / LAST NAME
მაისურაძე
MAISURADZE

მოქ. / CIT — GEO
სქესი / SEX — მდ / M
პირადი No / PERSONAL No — 01021006049

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH — 26.02.1959
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY — 25.06.2026

ბარათის No / CARD No — 15ID21055

ხელმოწერა / SIGNATURE

დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
დასახელებული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1987 წ. „28" x

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „28" x 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Adobe Photoshop Corel Draw Artlantis Studio Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“. **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი